ეთიკის კომისიის

# რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის წევრი

**შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 26.03.2015

**შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი:** 002/15

**შეკითხვა:**

ეთიკურად, რამდენად გამართლებულია ადვოკატის მიერ გაუწიოს კლიენტს მომსახურება ისეთ მომსახურებაზე, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის დასაშვები, მაგრამ მისაღებია რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში? კერძოდ, პირს სურს ევთანაზიის გზით დაასრულოს ცხოვრება (დაავადებულია უკურნებელი სენით), ამასთან, ითხოვს შესაბამის მომსახურებას. (საბუთების მოგროვება, ქვეყნის შერჩევა, კლიენტის სურვილის გათვალისწინება, ამასთან, გაუწიოს მომსახურება ტრანსპორტის ორგანიზაციაში და შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში)

**ანალიზი:**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: "ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს."

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, პირი სთხოვს ადვოკატს გაუწიოს მომსახურება საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებასთან მიმართებით. კერძოდ, პირს სურს ევთანაზიის საშუალებით დაასრულოს სიცოცხლე და ამისათვის ესაჭიროება გარკვეული მომსახურება ადვოკატისაგან. ევთანაზია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სახეა - მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, რაც, თავისთავად, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობით, ევთანაზია არ განიხილება, როგორც კანონით დასჯადი ქმედება და პირის მიზანია ადვოკატის მომსახურება, ერთ-ერთ საკითხად, მოიცავდეს სწორედ ასეთი ქვეყნის შერჩევასაც, შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატი, სავარაუდოდ, ხელს უწყობს კლიენტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დასჯადი ქმედების განხორციელებაში, რაც, შესაძლოა, არღვევს კანონიერების პრინციპს, რომელიც ადვოკატმა მისი ქმედებების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს.

ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე პირია, შესაბამისად, მას არ ჰყავს ზემდგომი და რაიმე სახით ადვოკატის იძულება განახორციელოს კონკრეტული ქმედება, დაუშვებელია, თუმცა, ადვოკატი უნდა ემორჩილებოდეს კანონსა და პროფესიული ეთიკის რეგულაციებს.

რეკომენდაციის გაცემისას, დისციპლინური კოლეგია აღნიშნავს, რომ საჭიროა დადგინდეს, რამდენად არის პირის მიერ მოთხოვნილი ქმედებების განხორციელება საადვოკატო საქმიანობა. ვინაიდან, თუ პირი არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და მისი ქმედებები არ ჯდება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისად, ეთიკის კომისია, პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად, ვერ განიხილავს შეკითხვაში მითითებული ადვოკატის ქმედებებს.

**დასკვნა:**

შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატი, სავარაუდოდ, ხელს უწყობს კლიენტს საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი ქმედების განხორციელებაში, რაც, შესაძლოა, არღვევდეს კანონიერების პრინციპს, რომელიც ადვოკატმა მისი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს. საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპი კანონიერებაა, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი უნდა ემორჩილებოდეს კანონსა და პროფესიული ეთიკის რეგულაციებს.

ასევე, საჭიროა დადგინდეს, რამდენად არის პირის მიერ მოთხოვნილი ქმედებების განხორციელება საადვოკატო საქმიანობა, ვინაიდან, თუ პირი არ ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და მისი ქმედებები არ ჯდება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისად, ეთიკის კომისია, პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად, ვერ განიხილავს შეკითხვაში მითითებული ადვოკატის ქმედებებს.

**რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.**

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ციცინო ცხვედიანი/